

შპს ამერიქან მონოლითი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.22	31.12.21
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	31 347,35	2 147 859,62
სავაჭრო მოთხოვნები	4	318 775,00	586 792,67
მარაგები		91 401,48	106 988,53
		441 523,83	2 841 640,82
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	7 339 372,45	6 741 127,76
		7 339 372,45	6 741 127,76
		7 780 896,28	9 582 768,58
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	117 402,02	59 819,22
საგადასახადო ვალდებულებები		43 089,42	33 528,02
		160 491,44	93 347,24
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		3 311 656,45	4 335 141,45
		3 311 656,45	4 335 141,45
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 740 717,45	5 574 241,05
გაუნაწილებელი მოგება		2 568 030,94	(419 961,16)
		4 308 748,39	5 154 279,89
		7 780 896,28	9 582 768,58

დირექტორი

მ. სულაძე



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	2022	2021
ამონაგები მომსახურებიდან	7 243 775,52	6 707 264,72
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	10 279,00	600 472,60
ამონაგების თვითღირებულება	(54 096,92)	(652 999,09)
საერთო მოგება	7 199 957,60	6 654 738,23
წმინდა სხვა შემოსავალი	65,00	102 072,02
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2 384 624,20)	(2 212 408,49)
ცვეთა და ამორტიზაცია	(466 496,66)	(560 001,66)
საპროცენტო ხარჯი	(298 074,31)	(129 665,37)
იჯარის ხარჯი	(11 250,00)	(36 476,26)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1 334 423,39)	(1 563 340,64)
სულ საოპერაციო ხარჯები	(4 494 803,56)	(4 399 820,40)
საოპერაციო მოგება	2 705 154,04	2 254 917,83
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება		
წმინდა მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	282 838,06	136 497,69
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	2 987 992,10	2 391 415,52
მოგების გადასახადი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2 987 992,10	2 391 415,52
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	5 154 279,89	2 762 864,37
კაპიტალის გაზრდა	(3 833 523,60)	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4 308 748,39	5 154 279,89

დირექტორი

მ. სულაძე



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ამერიქან მონოლითი (ს/ნ 211383590, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 1999 წლის 18 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ფოთი, ლარნაკას ქ., N17.

კომპანიის მფლობელები არიან:

- ☐ შპს ბ & ჯ (ს/ნ 202218803) - 70%;
- ☐ იგორ მარტინოვი (პასპორტი 08564756) - 30%

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- ☐ დირექტორი - მიხეილ სულაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშრალი და სველი ტვირთების შენახვა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო

თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები	31.12.22	31.12.21
ფული ბანკში	31 347,35	2 147 859,62
	31 347,35	2 147 859,62

4. სავაჭრო მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.22	31.12.21
მოთხოვნები მომსახურებიდან	310 475,00	582 492,67
მოთხოვნები პერსონალისადმი	8 300,00	4 300,00
	318 775,00	586 792,67

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.2021	წმინდა ცვლილება	31.12.22
ისტორიული ღირებულება			
მიწის ნაკვეთები	391 796,09	-	391 796,09
შენობება ნაგებობები	6 913 587,68	196 897,46	7 110 485,14
მანქანა დანადგარები	5 403 782,63	774 509,74	6 178 292,37
ოფისის აღჭურვილობა	230 291,04	6 770,35	237 061,39
ავეჯი და ინვენტარი	193 914,44	15 320,00	209 234,44
სატრანსპორტო საშუალებები	24 948,52	38 317,37	63 265,89
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	-	32 926,43	32 926,43
არამატერიალური აქტივები	238 612,95	-	238 612,95
	13 396 933,35	1 064 741,35	14 461 674,70
აკუმულირებული ცვეთა			
შენობება ნაგებობები	(2 826 389,47)	(264 310,66)	(3 090 700,13)
მანქანა დანადგარები	(3 495 214,87)	(178 577,76)	(3 673 792,63)
ოფისის აღჭურვილობა	(197 298,55)	(12 962,55)	(210 261,10)
ავეჯი და ინვენტარი	(80 310,27)	(3 344,55)	(83 654,82)
სატრანსპორტო საშუალებები	(6 831,20)	(2 438,15)	(9 269,35)
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	-	-	-
არამატერიალური აქტივები	(49 761,23)	(4 862,99)	(54 624,22)
	(6 655 805,59)	(466 496,66)	(7 122 302,25)
საბალანსო ღირებულება			
მიწის ნაკვეთები	391 796,09	-	391 796,09
შენობება ნაგებობები	4 087 198,21	-	4 019 785,01
მანქანა დანადგარები	1 908 567,76	-	2 504 499,74
ოფისის აღჭურვილობა	32 992,49	-	26 800,29
ავეჯი და ინვენტარი	113 604,17	-	125 579,62
სატრანსპორტო საშუალებები	18 117,32	-	53 996,54

შპს ამერიქან მონოლითის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით (ლარი)

საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	-	-	32 926,43
არამატერიალური აქტივები	188 851,72	-	183 988,73
	6 741 127,76	-	7 339 372,45

6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	31.12.22	31.12.21
მომწოდებლები	117 402,02	58 164,21
გადასხდელი პროცენტები	-	1 655,01
	117 402,02	59 819,22